ქალაქ ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

ქუთაისი, 2019

დოკუმენტი მომზადებულია *ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს* მიერ, პროექტის „ახალგაზრდების ცნობიერებისა და ჩართულობის გაზრდა ქალაქ ქუთაისში“ ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია “მცირე პროექტების მხარდაჭერის” (SPA) პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული თემის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამა წარმოადგენს მშვიდობის კორპუსისა და USAID ერთობლივ ინიციატივას

საკონტაქტო ინფორმაცია:

(0431)24 24 02,

ldageorgia@aldaintranet.org

https://www.facebook.com/LDAGeorgia/

http://www.ldageorgia.ge/ge/

შინაარსი

პროექტის შესახებ: 3

ფოკუს-ჯგუფის ანგარიში 4

Online გამოკითხვის შედეგები 15

ახალგაზრდული პროგრამები ადგილობრივ დონეზე..... 19

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 21

1. პროექტის შესახებ:

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ, ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ახალგაზრდული კლუბის 12 წევრთან ერთად განახორციელა პროექტი „ახალგაზრდების ცნობიერებისა და ჩართულობის გაზრდა ქალაქ ქუთაისში“.

პროექტის მიზანი: ქ. ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის გაზიარების უზრუნველყოფა.

პროექტის არეალი: ქ.ქუთაისი

პროექტის ხანგრძლივობა: თებერვალი-აპრილი, 2019 წელი

პროექტის სამიზნე ჯგუფები: ქ.ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდები; ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

- ტრენინგი ფოკუს-ჯგუფის ფასილიტაციის შესახებ - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდული კლუბის 12 წევრმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგში, სახელწოდებით „ფოკუს-ჯგუფის მომზადებისა და წარმართვის ტექნიკა“, რათა შემდგომში, მათ თავად უზრუნველეყოთ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ფოკუს-ჯგუფის შეხვედრების ჩატარება;
- ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა - ქუთაისის მასშტაბით სულ ჩატარდა 6 (ექვსი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, სხვადასხვა მიზნობრივი აუდიტორიის (სტუდენტები; დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები; მშობლები; მასწავლებლები; არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები) მონაწილეობით.
- ელექტრონული კითხვარის გავრცელება ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტში მხოვრებ ახალგაზრდებს შორის, რომლის მიზნიც, აგრეთვე ახალგაზრდული საჭიროებების იდენტიფიცირება გახლდათ;
- ფოკუს-ჯგუფებისა და ელექტრონული გამოკითხვის შედეგად, მომზადდა გამოვლენილი საჭიროებებისა და რეკომენდაციების დოკუმენტი, რომელიც მიეწოდათ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს ადგილობრივ დონეზე;
- ტრენინგები ახალგაზრდებისათვის - ქ.ქუთაისის 12-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა ტრენინგები ახალგაზრდებისათვის, რომელთა მიზანი გახლდათ საჭიროებების კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზების (ადვოკატირების) სწავლება;
- დასკვნითი კონფერენცია - პროექტის ბოლოს გაიმართა კონფერენცია, სადაც გადამზადებულმა ახალგაზრდებმა დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინეს პროექტის ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებები და გაუზიარეს თავიანთი ხედვები და რეკომენდაციები

2. ფოკუს-ჯგუფის ანგარიში

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 6 (ექვსი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა

მონაწილეობდნენ სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლები: მოსწავლეები; სტუდენტები; მშობლები; ლექტორ/მასწავლებლები; ექსპერტები; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები

საკვლევი თემა: ქ.ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების გამოვლენა

კვლევის მეთოდოლოგია: ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით

მონაწილეთა შერჩევა: თითოეულ ფოკუს-ჯგუფის შეხვედრაზე, მონაწილეობას იღებდა ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 9 მოქალაქე. შერჩევით ერთობლიობაში დაცული იყო გენდერული ბალანსი. ჯამში გამოიკითხა: 36 ადამიანი

საკვლევი თემატიკის ძირითადი შეკითხვები:

1. ახალგაზრდების ძირითადი თვისებები და მახასიათებლები;
2. რა საერთო სურვილები გააჩნიათ ახალგაზრდებს?
3. ახალგაზრდებისა და ზრდასრულების განსხვავებული საჭიროებები;
4. მოსწონთ თუ არა ქ.ქუთაისში მცხოვრებ ახალგაზრდებს თავიანთ ქალაქში ცხოვრება?
5. როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული, ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ან დაგეგმილი ახალგაზრდული პროგრამების/პროექტების შესახებ ცნობადობა?
6. როგორია ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების დონე და ჩართულობის ხარისხი ადგილობრივ დონეზე?
7. კონკრეტული საჭიროებები, რომლებიც ახალგაზრდების მიერ პრიორიტეტულად სახელდება ქ.ქუთაისში?

ფოკუს-ჯგუფის შედეგების დეტალური მიმოხილვა:

1. ახალგაზრდის ძირითადი თვისებები და მახასიათებლები

გამოკითხულ რესპონდენტთა აზრით, ახალგაზრდების უმრავლესობა მოტივირებული, ენერგიული, მიზანსწრაფული და შრომისმოყვარეა. მათთვის დამახასიათებელია კომუნიკაციის ეფექტური უნარები და ნოვატორული ხედვები. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდები აქტიურები და ამავდროულად ცნობისმოყვარენი არიან, ინტერესდებიან ყოველგვარი სიახლით და აღწევენ დასახულ მიზნებს. ახალგაზრდები იმდენად გაბედულნი არიან, რომ არ უშინდებიან გამოწვევებს და ამავე დროს, პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს.

ახალგაზრდების განვიტარების პროცესი ბავშვობიდან ზრდასრულობამდე გახდა უფრო ხანგრძლივი და რისკიანი. სტანდარტული გზა განათლებიდან დასაქმებამდე და ოჯახის შექმნამდე არის უფრო მეტად კომპლექსური, არასწორხაზოვანი, არაპროგნოზირებადი და მოწყვლადი.

ყოველივე ეს გამოწვეულია მრავალი ცვლილებით ახალგაზრდების ცხოვრებაში. დღეს ახალგაზრდებს აქვთ უფრო მეტი ხელმისაწვდომი შესაძლებლობები, ააწყონ საკუთარი კარიერა; აქვთ განათლების არჩევანის უფრო ფართო სპექტრი, მათ შორის საზღვარგარეთაც; შესაძლებლობა, რომ მოიპოვონ კვალიფიკაია არაფორმალური განათლების დახმარებით; შესაძლებლობა, რომ შეუთავსონ ერთმანეთს სამუშაო, სწავლა და დასვენებისა და გართობის აქტივობებიც კი. ამავე დროს, ახალგაზრდები გამოირჩევიან უფრო მეტი ინდივიდუალურობით და ექსპერიმენტების სურვილით ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე,

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა, აგრეთვე ყურადღება გაამახვილეს, რომ ხშირად ახალგაზრდები არიან პასიურები, ემოციურები, იმპულსურები და რთულია მათი მართვა, მათი აზრის შეცვლა

2. რა საერთო სურვილები გააჩნიათ ახალგაზრდებს?

რესპონდენტების მიერ პირველ რიგში დასახელდა შემდეგი სურვილები:

-ახალგაზრდებს სურთ თვითრეალიზება,თავიანთ სურვილებში გარკვევა და ინტერესთა სფეროების რაციონალურად განსაზღვრა;

-ახალგაზრდებს სურთ დასაქმდნენ ღირსეულ სამუშაო გარემოში, იყვნენ წარმატებულები თავიანთ პროფესიაში და ჰქონდეთ საკუთარი შემოსავლებით უზრუნველყოფილი ცხოვრება;

-ახალგაზრდებს ახასიათებთ საჯაროდ ცნობადობის ამბიცია და სურთ საზოგადოებაში ნდობის მოპოვება;

-ახალგაზრდებს სურთ მიეცეთ მეტი შესაძლებლობა, მიიღონ კონკურენტუნარიანი განათლება;

-ახალგაზრდებს სურთ, უფროსი თაობის მხრიდან მხარდაჭერის მოპოვება და მათ მიერ გაწეული შრომის დაფასება;

-ახალგაზრდებს სურთ მეტი თავისუფალი სივრცე და თავისუფალი დროის მრავალფეროვნად გატარების შესაძლებლობის ქონა;

3. ახალგაზრდებისა და ზრდასრულების საჭიროებებს შორის განსხვავება

რესპონდენტთა უმრავლესობამ ერთხმად აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს ზრდასრულებისგან განსხვავებით გააჩნიათ უფრო მეტი შესაძლებლობები. ისინი, მუდმივად საკუთარი თავის ძიებაში არიან, ცდილობენ შეუპოვრად დაიცვან პოზიციები მაშინ, როდესაც ზრდასრულები ხშირად ანგარიშს უწევენ გარშემომყოფებს, რის გამოც შესაძლოა საკუთარი ინტერესების უკანა პალნზე გადაწევაც კი მოუხდეთ. ახალგაზრდებს არ ეშინიათ შეცდომების დაშვების, თამამად ეჭიდებიან ახალ გამოწვევებს.

„აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებს აქვთ მესაკუთრე ბუნება, ხშირად ეგოისტობენ და საკუთარ თავს ყოველთვის წინა პლანზე სწევენ. არიან მეტად მომთხოვნები ირგვლივ მყოფთა მიმართ და საკუთარი თავის კმაყოფილებას ანიჭებენ უპირატესობას“ - აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

გამოკითხულთა ნაწილის თქმით, ზრდასრული ადამიანები ორიენტირებულნი არიან შემოსავლის/მოგების მიღებაზე, მაშინ როდესაც ახალგაზრდები მზად არიან ენთუზიაზმით განახორციელონ საქმიანობა, მათი მთავარი მამოძრავებელი ძალა მოტივაცია, გამოცდილების დაგროვების და განვითარების სურვილია.

„ახალგაზრდები რთული პიროვნული ჩამოყალიბების პროცესს გადიან, მუდმივად იმყოფებიან კვლევა-ძიების პროცესში. არიან ექსპერიმენტალურები, არ უშინდებიან სიახლეებს, პირიქით, გაბედულად ეგებებიან ყველა გამოწვევას და მარტივად შეუძლიათ რისკზე წასვლა. ახალგაზრდების უმრავლესობა მომავალსა და განვითარებაზეა ორიენტირებული“ - აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

დღესდღეობით ქუთაისში ახალგაზრდებს სწავლის მეტი დრო, თავისუფლება და შესაძლებლობა გააჩნიათ, მათ შორის, მოხალისეობის მეტი შანსი. ზრდასრულებთან შედარებით, უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობა აქვთ. შეუძლიათ მოკლევადიან და გრძელვადიან, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა, გაიარონ სხვადასხვა ონლაინ კურსი.

4. **მოსწონთ თუ არა ქ.ქუთაისში მცხოვრებ ახალგაზრდებს თავიანთ ქალაქში ცხოვრება?**

რესპონდენტთა აზრი, იმის შესახებ, მოსწონდათ თუ არა ახალგაზრდებს ქუთაისში ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ახალგაზრდები ძირითადად უკმაყოფილონი არიან ქალაქით და შესაძლებლობებისთვის/უკეთესი ცხოვრების საპოვნელად ან დედაქალაქს აფარებენ თავს, ან კიდევ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიემგზავრებიან. დანარჩენები, კი თვლიდნენ რომ არც ერთი თვითრეალიზებული და აქტიური ადამიანი არ არის ქალაქით უკმაყოფილო. თუმცა საბოლოოდ იმ კონსესუსამდე მივიდნენ, რომ თუ ახალგაზრდისათვის ხილული გახდება ქალაქში არსებული რესურსები და შესაძლებლობები, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლება, სამუშაო ადგილები და უსაფრთო გარემო, მაშინ ახალგაზდები თავინთ ქალაქს მოახმარენ შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას.

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით *„ახალგაზრდებს უყვართ და მოსწონთ თავიანთი ქალაქი, თუმცა როდესაც იზრდებიან და უჩნდებათ ახალი მოთხოვნილებები (ხარისხიანი განათლება, გართობა, აქტიური მოქალაქეობა, სამუშაო ადგილები...), ქალაქი ვეღარ აკმაყოფილებს მათ და იძულებულნი არიან დატოვონ იგი დროებით ან სამუდამოდ“.* რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ქალაქში ამ ეტაპზე არის თვითრეალიზაციის უკეთესი შესაძლებლობები ვიდრე ადრე, თუმცა არა საკმარისი, რომ ახალგაზრდები აქ დარჩნენ.

ახალგაზრდები განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობასაც განიცდიან, რადგან ზოგჯერ ქ.ქუთაისში არსებული უმაღლესი სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებენ მათ პროფესიულ ინტერესებს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდისათვის სასურველი ფაკულტეტი არ არსებობს ადგილობრივი უნივერსიტეტების ფაკულტეტთა სიაში, რაც აიძულებს ახალგაზრდებს მათთვის არასასურველ ფაკულტეტზე შეაჩერონ არჩევანი, ან თბილისში გადავიდნენ სასწავლებლად.

„ზოგადად, ქუთაისს რატომღაც დეპრესიული სტატუსი აქვს, რაც იმთავითვე თრგუნავს ახალგაზრდობას“ - აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

გამოკითხულთა ნაწილი პრობლემად ასახელებს არასაკმარის შრომით ბაზარს, ამასთან გაწეული შრომის დაუფასებელობას, რის გამოც ახალგაზრდებს არ გააჩნიათ პერსპექტიულობის განცდა.

„არა ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც ახალგაზრდების შრომის ბოროტად გამოყენება ხდება, რასაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ შრომითი ექსპლუატაცია. დამსაქმებლებს შეცდომაში შეჰყავთ პოტენციური დასაქმებული ახალგაზრდები, ჰპირდებიან რომ არაანაზღაურებადი სტაჟირების შემდეგ მათ ექნებათ შესაძლებლობა დასაქმების, მაგრამ შედეგად ვღებულობთ მუდმივად ცვალებად სტაჟიორთა რიცხვს, რომელიც უფასო მუშა-ხელს წარმოადგენს დამსაქმებლისათვის“ - განაცხადა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

ქუთაისში ცხოვრება არ მოსწონთ ახალგაზრდებს იმიტომაც, რომ ბევრ მათგანს საბაზისო საჭიროებებიც არ აქვს უზრუნველყოფილი, მშობლებს უჭირთ მათი გამოკვება, სათანადო განათლების მიცემა და მხარდაჭერა. რაც ბევრ ახალგაზრდას აიძულებს ადრეულ ასაკში

გახდეს დამოუკიდებელი, იზრუნოს თავის თავზე, დატოვოს ქალაქი, წავიდეს საზღვარგარეთ ისე, რომ არ აქვს კონკრეტული გეგმები, მაგრამ მთავარია დროულად დატოვოს ქალაქი. ხშირად ასეთი პირობები მათ კანონთან კონფლიქტში ყოფნასაც უქადის, რაც უარყოფითად აისახება მათ მომავალსა და განვითარებაზე.

რესპონდენტები მწვავედ აყენებდნენ ქალაქში ტრანსპორტის პრობლემას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ახალგაზრდები ვერ სარგებლობენ საშეღავათო პირობებით და არც გრაფიკია მათ საჭიროებებეზე მორგებული *„თეატრში სპექტაკლი ხშირად საღამოს 8-9 საათზე სრულდება და ამ დროებში ტრანსპორტის არარსებობის გამო ფეხით გვიწევს შორ მანძილზე გადაადგილება, რაც თეატრისა და ხელოვნების მიმართ ახალგაზრდების დაინტერესების შემაფერხებელი ფაქტორია*"-განაცხადა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. მათ აგრეთვე გაიხსენეს, ფაქტი, როდესაც საღამოს საათებში ისედაც ახლადგახსნილ და ნაკლებ პოპულარიზებულ კინო-თეატრში უფასო სამი სეანსი იმართებოდა, ისიც ჩაიშალა და ახალგაზრდებს გვიან ღამით ფეხით დაბრუნება მოუწიათ.

ახალგაზრდები გართობის ადგილების სიმწირესაც უჩივიან ქალაქში. ფაქტობრივად, არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც თავისუფალ დროს გაატარებენ და გაერთობიან. ქალაქი ახალგაზრდებს ვერ სთავაზობს, ჯანსაღი ცხოვრების წესის წამახალისებელ ინფრასტრუქტურას, მოუწესრიგებელია არსებული ველო-ბილიკები.

მნიშვნელოვანია შევეხოთ სტუდენტურ შეღავათებს, რომელიც ფაქტობრივად არ მოქმედებს ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. უნივერსიტეტში ჩარიცხვისას მათ გადაეცემათ სტუდენტური ბარათები, თუმცა ახალგაზრდების უმეტესობას არ აქვს ინფორმაცია თუ რა შეღავათებს ანიჭებთ მათ ეს ბარათი, რაც სრულიად უფუნქციოს ხდის აღნიშნული სტუდენტური ბარათების მოქმედებას. მაგალითად, თეატრში სპექტაკლის ბილეთის შეძენისას სტუდენტებისთვის მოქმედებს ფასდაკლება, თუმცა ამის შესახებ ცოტა მათგანმა თუ იცის.

საბოლოოდ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ყველა ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, ქუთაისელი ახალგაზრდების დიდ ნაწილს არ მოსწონს ქუთაისში ცხოვრება.

5. **როგორია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული, ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ან დაგეგმილი ახალგაზრდული პროგრამების/პროექტების შესახებ ცნობადობა;**

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ახალგაზრდული პროგრამებიდან გამოყვეს შემდეგი აქტივობები:

- ქალაქის მერიის მიერ ორგანიზებული ლიდერთა ბანაკი;
- ''ნუ მოწევ'' - მოწევის საწინააღმდეგო კამპანია, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებმა მოამზადეს ვიდეო რგოლი და გააცვნეს საზოგადოებას იმ საშიშროებების შესახებ, რასაც მოწევა უქმნის ადამიანებს. ასევე, კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა მარათონი;

- ,,ახალგაზრდული პარლამენტი'' - რომელშიც მონაწილეობას იღებდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან შერჩეულია 45 მოსწავლე;
- ,,გაეროს მოდელირების საერთაშორისო კონფერენცია'' - რომელიც ქ.ქუთაისი მერიამ, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსთან, გაეროს განვითარების პროგრამასთან და მშვიდობის კორპუსთან ერთად განახორციელა. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა 30 ქუთაისელი და 30 ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტთან დამეგობრებული ქალაქების წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან;
- ,,თავისუფლებისთვის, თანასწორობისთვის, შემეცნებისთვის და გამარჯვებისთვის''- პროექტი მოიცავდა 4 შიდა აქტივობას თითეული სლოგანის ქვეშ;
- ,,თავისუფლების 100 წუთი''- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლის თავთან დაკავშირებული ღონისძიება, რომელსაც მიეძღვნა გამოფენა.

რაც შეეხება, ქუთაისში თავად ახალგაზდრების მიერ დაგეგმილ აქტივობებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოკითხულთაგან ვერც ერთმა რესპოდენტმა ვერ მოახერხა მსგავსი ღონისძიების გახსენება. ახალგაზრდებმა აღნიშნეს, რომ ხშირად თავიან გაკეთებულ პროექტებშიც კი უჭირთ თანატოლების მოძიება *„საკმარისი ღონისძიებები იგეგმება, მაგრამ ახალგაზრდების ჩრთულობა ძალიან პასიურია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში უკვე ყველამ იცის ახალგაზრდული ინიციატივების მუხლის შესახებ, რომლითაც ფინანსდება ახლაგაზრდული პროექტები, შემოსული განცხადებებიდან კერძო პირის განცხადებები აქტივობების განოხრციელების შესახებ არის მაქსიმუმ მხოლოდ 5-6%. სამწუხაროდ ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფი არ იქმნება"-აღნიშნა* ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

გარდა მერიის მიერ ორგანიზებული პროექტებისა, მონაწილეებმა გაიხსენეს საქართველოს სკაუტური მოძრაობის ბანაკი, რომელიც მერიის მხარდაჭერით გაიმართა. ასევე ბიზნეს სკოლა, ამერიკული კუთხის კურსები მედია-წიგნიერების თაობაზე, World Vision-ისა და ორგანიზაცია „თაობათა დიალოგის" (RICDOC)-ის პროექტები, ახალგაზრდული საკრებულო. ამასთან ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ მერიის მხარდაჭერით საქველმოქმედო აქციისთვის 3 თვით გადაეცათ ნიღბების თეატრი.
არასამთავრობო ორგანიზაცია „World Vision"-მა ერთი წლის წინ ქ.ქუთაისის მერიის მიერ გამოცხადებული ახალგაზრდული ინიციატივების კონკურსის ფარგლებში წარადგინა საპილოტე პროექტი „არაფორმალური განათლება ახალგაზრდების გაძლიერებისათვის". ამ პროექტის თანახმად, თავდაპირველად ქუთაისის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში გადამზადდებოდა 18-29 წლამდე ასაკის ახალაგაზრდები CV-ს, სამოტივაციოს, ეფექტური კომუნიკაციის, არაფორმალური განათლების, კულტურათა დიალოგის, იმ კომპეტენციების შეძენის მიზნით, რომელიც ახალგაზრდებს უნდა გააჩნდეთ.

6. **როგორია ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების დონე და ჩართულობის ხარისხი ადგილობრივ დონეზე?**

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ახალგაზრდების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის, თუ სხვა აქტორების მიერ დაგეგმილ პროექტებთან დაკავშირებით და ამ მხრივ ცნობიერების დონე დაბალია. როგორც მონაწილეებმა განმარტეს, ასეთ პროექტებში სულ ერთი და იგივე ახალგაზრდები მონაწილეობენ. *„ძირითადი მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობაა. მედია საშუალებებს არ მიაქვთ ეს ინფორმაცია ახლგაზრდებამდე“*-აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

ჯგუფმა გამოკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომ არსებობს ახალგაზრდების კატეგორია, რომელთა უგულებელყოფა ხდება სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაგალითად: დისკრიმინაცია და სიძულვილის ენა მიმართული უმცირესობების, მსჯავრდებულების, სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილების, შშმ პირების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. აღნიშნულ პირობებში, მათი განვითარების შესაძლებლობა და ინკლუზია ძალიან შეფერხებულია.

გამოკითხულთაგან ყველა ერთხმად ამბობდა, რომ ჩვენს ქალაქში არიან ძალიან აქტიური, განათლებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები, რომლებიც ხშირად იღებენ მონაწილეობას მოხალისეობრივ საქმიანობებში და ჩართულნი არიან ბევრ ღონისძიებაში. მაგრამ მათივე თქმით, ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა ძალიან მცირეა. *„რადგან ახალგაზრდობა საზოგადოების „მეომბოხე” ნაწილს წარმოადგენს საჭიროა, მათი მხრიდან თავდაცვის მექანიზმების ცოდნაც, რათა არ გახდნენ ბულინგის მსხვერპლნი, დაიმკვიდრონ ადგილი საზოგადოებაში და ჰქონდეთ უსაფრთხოების განცდა თავიანთ სოციუმში“*-აღნიშნა ერთ-ერთმა მონაწილემ.

იმისათვის, რომ ახალგაზრდების ჩართულობა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, რესპონდენტების თქმით, საჭიროა მათთვის გასაგები ენით და საინტერესო ფორმით მიაწოდონ ინფორმცია. ასევე კარგი იქნება, თუ მეტი ისეთი მონაწილე ჩაერთვება პროეტებში, რომელიც პირველად მონაწილეობს აქტივობებში, რათა მოხდეს ინფრომაციის და გამოცდილების გაზიარება.

- ახალგაზრდების ჩართულობა დამოკიდებულია ინტერესის სფეროზე. ამიტომ პირველ რიგში, დაგეგმილი პროექტები უნდა იყოს მრავალფეროვანი, მნიშვნელოვანია პროგარმების შემუშავების პროცესშივე, მთავარი სამიზნე ჯგუფების ჩართულობა;
- საჭიროა, წარმატებული ახალგაზრდა ადამიანების მიერ გამოცდილების გაზიარება, მათი საქმიანობის დაფასება და აღიარება. თუ მათ სათანადოდ დავაფასებთ, მოტივაციას გავუზრდით სხვებსაც;
- ინიციატორახალგაზრდებს სჭირდებათ მხარდაჭერა. თუ მათ ძლიერი მხარაჭერა ექნებათ, უფრო მეტ ინოვაციური იდებით სავსე ახალგაზრდას მივიღებთ;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტები ძირითადად ფრაგმენტულია და ძირეული პრობლემის აღმოფხვრას ვერ ახერხებს;

- ახალგაზრდულ პროექტებში, ძირითადად, ერთი და იიგივე სახეები გვხვდება. საჭიროა ინფორმაციის გავრცელების წყაროების გაფართოვება, რაც გამოიწვევს ინტერესის გაზრდას ახალგაზრდების ფართო ჯგუფებში.

7. კონკრეტული საჭიროებები, რომლებიც ახალგაზრდების მიერ სახელდება პრიორიტეტულად ქ.ქუთაისში?

ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და ტენდენციების დასადგენად საქართველოში, დღევანდელი მდგომარეობით, არანაირი მექანიზმები არ არსებობს. მსგავსი მონაცემების მოსაძიებლად ძირითადად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ ჩატარდა კვლევები, რომლებიც წარმოადგენდა დამოუკიდებელ ინიციატივებს და ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი. ასევე აღნიშნული კვლევების სუბიექტები, მეთოდოლოგია და ინდიკატორები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. შესაბამისად, უმთავრესი საჭიროება, რომელიც გამოიკვეთა ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების შედეგად, გახლავთ ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და ტენდენციების დასადგენად უწყვეტი კვლევითი საქმიანობის წარმოება, თავად გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ.

ფოკუს-ჯგუფის შედეგებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები:

- **ეფექტური კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმმართველობასა და ახალგაზრდებს შორის** - პირველ რიგში, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქ. ქუთაისში ერთეული ორგანიზაციების გარდა არ არსებობს სივრცე, სადაც მოუსმენენ ახალგაზრდებს და მათ აზრს გაითვალისწინებენ. სწორედ, კონკრეტული პროექტების ფარგლებში ხდება მათი იდეების გაზიარება და ეს პროექტებიც არის მცირე ვადიანი. აუცილებელია, რომ ახალგაზრდები იყვნენ ცვლილებების ინიციატორები, მათი აზრი გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამას გარდა, თავად იყვენენ განმახორციელებლები. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ განცდა იმისა, რომ პროცესების სრულფასოვანი თანამონაწილენი არიან და არა დანამატები. რესპონდენტები თვლიან, რომ აუცილებელია იმგვარი პროექტების ორგანიზება, რომელიც გაზრდის აქტივიზმს და ახალაგაზრდების სურვილს, იყვნენ ინიციატორები, რადგან თავად ახალაგაზრდები ნაკლებად ქმნიან შესაძლებლობებს და მიუხედავად, იმისა, რომ დიდი პოტენციალი აქვთ, არ არიან ცვლილებების ინიციატორები. ასევე, მნიშვნელოვანია ისეთი პროექტების არსებობა, რომლებიც ახალგაზრდებს საკუთარი უნარ-ჩვევების რეალიზებაში დაეხმარება. *„არსებობს პროექტები, რომლებიც სწორედ ამ პრობლემატიკაზეა მორგებული, თუმცა ან ჩართულობაა მცირე, ან სულ ერთი და იგივე სახეები გვხვდება. ახალგაზრდების უმეტესობამ თავადაც არ იცის მათი საჭიროებების შესახებ, ამიტომაც არის აუცილებელი მათთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება“* - აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა საერთაშორისო ახალგაზრდულ პროგრამებს უკეთ იცნობს ვიდრე ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ახალგაზრდულ პროგრამებს. შესაბამისად მიაჩნიათ, რომ სწორედ მათი არ ცოდნა შეიძლება იყოს ნაკლები ჩართულობის და პასიურობის ერთ-ერთი მიზეზი.

რესპონდენტების მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება თუნდაც ქ.ქუთაისის მერიის ლიდერთა ბანაკების მონაწილეთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

- **განათლების ხელმისაწვდომობა** - გამოკითხულმა ახალგაზრდებმა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელეს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა. აღნიშნულ საკითხზე საუბრისას ძირითადად ინფრასტუქტურული და მეთოდოლოგიური პრობლემები გამოიკვეთა. კერძოდ, უნივერსიტეტის კორპუსების, სკოლების, ბიბლიოთეკებისა და ბაღების ინფრასტრუქტურული გაუმართაობა. რესპონდენტები თვლიან, რომ საჯარო სკოლებში არსებული მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი ამორტიზირებულია. *„ქალაქში უმთავრესად განათლების პრობლემაა. ქალაქს სტუდენტები ტოვებენ, რადგან არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები ახალგაზრდებს ხარისხიან განათლებას ვერ სთავაზობს“* - აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. მშობლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათი აზრით სასწავლო გარემო არ არის უსაფრთხო , რადგან სკოლებში დღესაც ბულინგის/ჩაგვრის არაერთი ფაქტი ფიქსირდება;
- **პროფესიული მრავალფეროვნება** - მნიშვნელოვანია პროფესიული ორიენტაციის ვორქშოფები მოეწყოს ქალაქის ყველა უბანში. შეიქმნას გარკვეული კლუბური სისტემა, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, „ახალგაზრდული კლუბები შესაძლოა განთავსდეს უბნების მიხედვით ბიბლიოთეკებთან, რაც ასევე ხელს შეუწყობს ბიბილიოთეკების პოპულარიზაციას“. რესპონდენტთა თქმით, უმნიშვნელოვანესია, ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის განვითარება;
- **უწყვეტი განათლების პროცესის შესაძლებლობა** - რესპონდენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ სასურველია უწვეტი განათლების პროცესის ამოქმედება ადგილობრივ დონეზე, 22-დან 29 წლამდე ასაკის ახალაგაზრდები, უნივერისტეტის დამთავრების შემდეგ ვერ საქმდებიან. გადის წლები, მათი პროფესიები „ძველდება“, ნაკლებმოთხოვნადი ხდება, ისინი ვერ უწყობენ ფეხს თანამედროვე ტენდენციებს და ამიტომაც, აუცილებელია მათი ჩაბმა უწყვეტი განათლების პროცესში.
- **არაფორმალური განათლების როლის ზრდა სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში-** მნიშვნელოვან საჭიროებად მიაჩნიათ რესპონდენტებს, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს. *„არაფორმალური განათლება არის მნიშვნელოვანი იარაღი ახალგაზრდების გასაძლიერებლად. სკოლა და უნივერსიტეტი ახალგაზრდებს აძლევს აკადემიურ განათლებას, მაგრამ ამის გარდა არსებობს უამრავი უნარ-ჩვევა, რომელიც აქტიურ მოქალაქეს ესაჭიროება“* - განაცხადა ერთ-ერთმა რესპონდენტმა;

ჯგუფის წევრები გამოდიან ინიციატივით, ჩატარდეს სხვადასხვა ტურნირი მუნიციპალიტეტეტის ტერიტორიულ ერთეულებს შორის, მაგ: მათემატიკის, ფიზიკის, მუსიკის და სხვა მიმართულებებით და წარმატებული ახალგაზრდები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და სხვა საჩუქრებით. აგრეთვე, კარგი იქნება თუ ეს ღონისძიებები გაშუქდება მედიაში და ამ გზით მოხდება ახალგაზრდების ინფორმირება. ამ საშუალებით აღმოვაჩენთ და შემდგომში წავახალისებთ წარმატებულ ახალგაზრდებს;

- **დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები** - დღესდღეობით ქ. ქუთაისში ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესი საკითხია. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ხშირად კერძო სექტორში სტაჟირების შემდგომ, ახალგაზრდები ვერ საქმდებიან. უფრო მეტიც, მათი შრომის ბოროტად გამოყენება ხდება. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ახალგაზრდები თანხვედრაში ვერ მოდიან ადგილობრივ დონეზე არსებულ მოთხოვნად პროფესიებთან, არ გააჩნიათ ამ სამუშაოსთვის შებამისი უნარები. რესპონდენტთა აზრით, მნიშვნელოვანია, მოხდეს ახალგაზრდების, განსაკუთრებით აბიტურიენტების ინფორმირება თუ რა პროფესიებია დღეს მოთხოვნადი და რა სამუშაო ბაზარი არსებობს. ასევე პროფესიული სასწავლებლების პოპულარიზაცია, რადგან დღევანდელ შრომით ბაზარზე სწორედ ასეთი პროფესიებია საჭირო. მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაზეც მშობლების ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა გახლავთ სამუშაო ადგილებისა და კარიერული განვითარების დაბალი მაჩვენებელი. **რესპონდენტები რეკომენდირებულად თვლიან,** რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ აწარმოოს სტატისტიკა იმ პროფესიათა და სამუშაო ადგილების შესახებ, სადაც მოთხოვნა დიდია, მაგრამ სპეციალისტი ცოტა. რესპონდენტები რეკომენდირებულად თვლიან, რომ შემუშავდეს ახალგაზრდებთან კომუნიკაციის სტრატეგია და შეიქმნას ერთი ფორუმი/ქსელი, სადაც მუნიციპალიტეტში არსებულ და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ყველა ინფორმაცია დაიდება და პერიოდულად განახლდება.
- **ქ. ქუთაისის ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა-** რესპონდენტთა თქმით, აუცილებელია ადგილობრივმა თვითმმართველობამ აწარმოოს 14-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების საჭიროებების სისტემური და სტრუქტურული კვლევა, რომლითაც უპასუხებენ, 2014 წელს UNICEF-ისა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს და მის 9 ძირითად კომპონენტს. მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნია ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი და სტრატეგიული გეგმა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში სწორედ ძირითადი პრიორიტეტების შესრულებისაკენ იქნება ორიენტირებული. რესპონდენტთა თქმით, დაგეგმილი ღონიძიება და ამ ღონისძიების პროგრამა უნდა პასუხობდეს ახალგაზრდების საჭიროებებს და ინტერესებს. ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების საჭიროების გათვალისწინება, თუმცა ეს არ უნდა მოხდეს ამ ახალგაზრდების ინტერესების საპირისპირო მეთოდით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების საჭიროების და ინტერესის გამოსავლენად ჩატარდეს კვლევები, გამოიკითხოს

კონკრეტული ღონისძიების ბენეფიციარები, ან ამ ახალგაზრდებთან მომუშავე ახალგაზრდული მუშაკის გამოცდილებაზე დაყრდნობით

- **ახალგაზრდული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება** - პრობლემად დასახელდა ქალაქში საჭირო ინფრასტრუქრუქტურის არსებობა, რაც გულისხმობს ღია დასვენებისა და გართობის სივრცეებს: სკვერებს; საკემპინგე და საპიკნიკე ტერიტორიებს; ველო ბილიკებს; სპორტული პარკი და აქვა პარკი. *„ახალგაზრდამ უნდა დახარჯოს ენერგია და თავისუფალი დროის სწორად გამოყენების შანსიც ჰქონდეს და ადგილიც“*-აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. ასევე მონაწილეებმა ისაუბრეს ,,Free Market''-ის კონცეფციაც, სადაც ახალგაზრდებს უშუალოდ ექნებათ შესაძლებლობა თავად გამოფინონ თვიანთი ნაწარმი და შესაძლებლობები.
- **ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია -** რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქალაქში ბევრი სპორტული ღონისძიება იმართება, რომელიც დაფინანსებულია ადგილობრივი ბიუჯეტით, რასაც დადებითად აფასებენ, თუცა მათი აზრით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია არ ხდება ახალგაზრდების ფართო ჯგუფებში ადრეული ასაკიდანვე. აღსანიშნავია, რომ არც შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა არსებობს ქალაქში, *„სპორტული დარბაზების რაოდენობა საკმაოდ მცირეა და მათი დიდი ნაწილი არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ახალგაზრდებს უწევთ არაკომფორტულ, არაჰიგიენურ პირობებში ვარჯიში“ - ამბობს* ერთ-ერთი რსპონდენტი. გამოკითხულთათვის მნიშვნელოვანია საპარკინგო სადგომების მოწყობა, რათა ველობილიკები და ფეხით სავალი ნაწილები გათავისუფლდეს მანქანებისაგან.
- **მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ტრანსპორტი -** რეპონდენტების სურვილია, რომ ნაცვლად ერთჯერად პროექტებისა, შეიქმნას მუნიციპალური, ახალგაზრდული სერვისები და დაწესდეს გარკვეული შეღვათები. ამასთან, ქ.ქუთაისის მერიამ თავის არსებულ სერვისებზე მეტი ინფორმაცია მიაწოდოს ახალგაზრდებს, ამ მხრივ შესაძლებელია ქოლ-ცენტრის შექმნა, ან ვებ-გვერდზე ცალკე კატეგორიაში ინფორმაციის მუდმივი განახლება. რესპონდენტები, ქ.ქუთაისის მერიას რეკომენდაციას აძლევენ, რომ ახალგაზრდულ დეპარტამენტში საქმიანობდნენ ახალგაზრდული მუშაკები, რომელთაც ახალგაზრდებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ. ისინი იმუშავებენ ახალგაზრდული პროგრამების განვითარებაზე და უშუალო კონტაქტი ექნებათ ახალაგაზრდებთან.

  რესპონდენტების სურვილია, ახალგაზრდებს მიეცეთ საშუალება თავიანთ ქალაქში ისარგებლონ სტუდენტური ბარათებით. აუცილებელია მეტი ურთიერთბა ადგილობრივ თვითმმართველობასა და ახალგაზრდებს შორის - *„თავად თვითმმართვრელობამ გადადგას ნაბიჯი და ჰკითხონ რა მიმართულებით სურთ დახმარება და რა იდეები აქვთ ახალგაზრდებს“* - აღნიშნა ერთ-ერთმა რესპონდენტმა. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ნაწილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია თავად ახალგაზდები ჩერთონ პროექტების/ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში რადგან გამოცდილების თანახამად განხორცილების პროცესში მათი ჩრთულობა უფრო მაღალია. სოციალურად დაუცველი სტუდენტების მიმართ არ მოქმედებს შეღავათები ტარნსპორტით სარგებლობისას, კინოში, თეატრსა და სხვა დაწესებულებებში. ჯგუფის აზრით დიდი პრობლემაა შშმ პირთა გადაადგილებაა. ქალაქში პანდუსები გაუმართავია და საზოგადოებრივი ტრანსპორტიც არაა ადაპტირებული. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა: *„ბანაკში მისვლისას პანდუსები არ დაგვხვდა,*

ყველა მონაწილე შევიდა და ჩვენ დავრჩით გარეთ. ეს ძალიან რთულია; ასეთ ფაქტებს ძალიან განიცდიან“.

3. Online გამოკითხვის შედეგები

ფოკუს-ჯგუფის შედეგების სრულყოფის მიზნით, შემუშავდა და გავცელდა ელექტრონული კითხვარი, მიღებული მონაცემები ასახავს საინტერესო სტატისტიკას:

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 49 რესპონდენტმა, მათ შორის:





ელექტრონული კითხვარის მეშვეობით, დასმული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა, კერძოდ:



1 - ძალიან ცუდი ; 5-ძალიან კარგი

რატომ? განმარტეთ თქვენი პასუხი:

1. ახალგაზრდები, განსაკუთრებით კი სტუდენტები თვლიან, რომ მათი ცხოვრება შემოიფარგლება მხოლოდ ლექციებითა და ძალიან იშვიათად კონფერენციებით. ახალგაზრდებს სურთ უფრო მეტი სერვისები, შესაძლებლობები და განვითარება საკუთარ ქალაქში;
2. ახალგაზრდებს მოსწონთ ქუთაისში ცხოვრება, მაგრამ უმეტესი ნაწილი იძულებულია წავიდეს ქალაქიდან საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზების არარსებობის გამო;
3. ქალაქში მხოლოდ უნივერსიტეტის არსებობა არ ნიშნავს,რომ ის არის სტუდენტური ქალაქი, საჭიროა ახალგაზრდული ინფრასტრუქტურის განვითარება;
4. ქალაქში არ არის ახალგაზრდებისთვის გასართობი და დასვენების ღია სივრცეები;
5. ქალაქში ფაქტობრივად არ არსებობს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შესაძ;ებლობები, რომ სტუდენტმა სწავლასთან ერთად მუშაობა შეძლოს;
6. საჭიროა, შეიქმნას საინფორმაციო პლატფორმები, რომლის მეშვეობითაც გაიზრდება ახალგაზრდულ აქტივობებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
7. ქალაქში ტრანსპორტის პრობლემა დგას, 20:00 საათის შემდეგ ქალაქის უმეტეს ნაწილში საჯარო ტრანსპორტით გადაადგილება შეზღუდულია;
8. ქალაქის ადგილობრივი თვითმმართველობა, არ არის დაინტერესებული უნივერსიტეტებში სტუდენტების საჭიროებების გაცნობით, რაც შემდგომში ნეგატიურად აისახება სტუდენტების ახალ თაობაზე;

9. მართალია, ქუთაისი მნიშვნელოვანი ისტორიის და დიდი კულტურის მქონე, თუმცა დღეისათვის ძალიან უპერსპექტივო ქალაქია;
10. პირველ რიგში, განათლების ხარისხის გამო. ამაზე ისიც მიუთებს, რომ ქუთაისიდან უამრავი ახალგაზრდა მიდის სასწავლებლად თბილისში. არ არის სამუშაო ადგილები სტუდენტზე მორგებული პირობებითა და გარემოთი;
11. ქუთაისი მყუდრო ქალაქია, რაც შესაძლოა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის კომფორტულიც კი არის, თუმცა სოციალურად აქტიური ადამიანებისთვის შეიძლება ეს სიმყუდროვე ჩაკეტილ სივრცედ აღიქმებოდეს, სადაც ვერ შეძლებენ თავიანთი იდეების განხორციელებას;
12. ქუთაისში დღეისათვის არ არსებობს რესურსი იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობას ჰქონდეს პერსპექტიულობის შეგრძნება;
13. ქალაქის ინფრასტრუქტურა და იერსახე არის დამთრგუნველი. ტრანსპორტი მოუწესრიგენელი. ამასთანავე, მოსაწყენია ცხოვრება ისეთ ქალაქში, სადაც არ არის ახალგაზდების გართობის დაწესებულებები და მეტი წახალისება;
14. პირველ რიგში ინფრასტრუქტურა არ არის მოწესრიგებული. საგზაო პრობლემები: გზებზე ორმოებია, გადათხრილი ტროტუარები, სადაც საგზაო სამუშაოები დიდხანს იწელება, შუქნიშნების გაუმართაობა, ზებრა-გადასასვლელები ზოგ ადგილას წაშლილია, ან საერთოდ არ არსებობს, ზოგიერთ ბინაში კი ლიფტი არაა. ქალაქის გარკვეული ტერიტორია ნარჩენებითაა სავსე, სანაგვე ურნებიც არაა საკმარიის რაოდენობით. ტრანსპორტს რაც შეეხება, გვიანობამდე არაა, ზოგიერთი მძღოლი ამას დამატებული სმენას აგდებს და არ მოდის ბოლო რეისზე;
15. ბევრი მიტოვებული შენობაა უფუნქციოდ დარჩენილი, ზოგიერთი შენობა კი ისეთი ძველია, რესტარვაციას საჭიროებს. ასე მაგალითად: საჯარო ბიბლიოთეკა გასარემონტებელია და ახალი იერი სჭირდება თანამედროვე სტილში;
16. ქუთაისს არ აქვს აქვაპარკი, გასართობ პარკებში კი ატრაქციონების სიმცირეა;
17. კარგი ქალაქია ქუთაისი და უნდა გიყვარდეს შენი ქალაქი რაც არ უნდა იყოს;
18. ვერავითარ პერსპექტივას ვერ ვხედავ ამ ქალაქში, შესაბამისად ჩნდება უიმედობის განცდა. ქალაქი დღითი დღე ცარიელდება, ახალგაზრდების უწყვეტი გადინებაა;
19. ახალგაზრდებს ძირითადად არ მოსწონთ ქუთაისში ცხოვრება, რადგან გასართობი ადგილების სიმცირეა, ინფრასტრუქტურული პრობლემები, სტუდენტებისთვის არ არის მორგებული მომსახურების სფერო, მაგ:ტრანსპორტი;
20. ლამაზი და პერსპექტიული ქალაქია, თუმცა მის პოტენციალს საკმარისად ვერ იყენებენ;
21. ახალგაზრდებს ზოგადად ისეთი ასაკი აქვთ არაფერი მოსწონთ და სულ „რევოლუცია“ სურთ. საზოგადოება ყოველთვის ერთ აზრზე ვერ იქნება, ვფიქრობ რომ ახალგაზრდების ნაწილს მოსწონს ქუთაისში ცხოვრება, მაგრამ არიან ახალგაზრდები რომლებთაც ქუთაისი არ მოსწონთ, რადგან ქუთაისი თბილისისაგან განსხვავებით ,ნაკლებად განვითარებულია როგორც ტურისტული ასევე რეკრეაციული სახით;
22. ზედმეტად პასიური და ინერტული ახალგაზრდობაა, რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობს, თუმცა მცირე რაოდენობით.

იცნობთ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებულ, წარსულში განხორცი...გაზრდულ პროგრამებს/პროექტებს?
49 responses



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ახალაგზრდულ პროგრამებს?
49 responses



1 - ძალიან ცუდი ; 5-ძალიან კარგი

როგორ შეაფასებდით ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების დონეს და ჩართულობის ხარისხს ადგილობრივ დონეზე?
49 responses



4. ახალგაზრდული პროგრამები ადგილობრივ დონეზე

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამები[1] :

1.ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის აღწერა - ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებით და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.

- ❖ ახალგაზრდა ლიდერთა ზამთრის სკოლა;
- ❖ ახალგაზრდა ლიდერთა საზაფხულო სკოლა;
- ❖ გაეროს მოდელირება;
- ❖ ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა;
- ❖ სოციალურად დაუცველი და შშმ ახალგაზრდების დახმარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია;
- ❖ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები;
- ❖ საერთაშორისო პროექტებში, კონკურსებსა და ფესტივალებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობა;
- ❖ წლის შემაჯამებელი ღონისძიება;

2.განათლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის აღწერა: პროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას; მოზარდთა შემეცნებით–საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას; ქუთაისის განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისებასა და მოსწავლეთა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას.

- ❖ ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების მიზნით, დახმარება;
- ❖ ქალაქ ქუთაისში არსებული ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების სმენის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირების მიზნით, კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტების შეძენა;

[1] წყარო-ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის კოდიფიცირებული ბიუჯეტი: matsne.gov.ge/ka/document/view/4422337?publication=0&scroll=49282.5

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი;
- ინტელექტუალური კონკურსი „რა? სად? როდის?“ მოსწავლეთათვის;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადა;
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქალაქო ღონისძიებები;
- საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების VIII–IX–X კლასების სოციალურად დაუცველ და წარმატებულ მოსწავლეთათვის, ორ ნაკადად, შავიზღვისპირეთის კურორტზე;
- საზაფხულო შემეცნებითი ბანაკი „მცირე აკადემია“ საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეებისათვის შავი ზღვისპირეთის კურორტზე;
- მედია–პროექტი „ეტალონი“;
- „SOS“ ბავშვთა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა;
- შშმ პირი მოზარდების შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა
- ,,თავისუფალი თემა“ – ბლოგების შექმნა, გამარჯვებული საჯარო და კერძო სკოლების გუნდების ფულადი დაჯილდოება;
- ქართული ენის დღე – კალიგრაფიის კონკურსი, გამარჯვებულების ფულადი დაჯილდოება, საუკეთესო ხელნაწერების გამოფენის მოწყობა;
- ღვაწლმოსილ და წარმატებულ პედაგოგთა სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
- მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება;
- მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქუთაისის მუზეუმების ღვაწლმოსილი და წარმატებული თანამშრომლების დაჯილდოება;
- ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა და მათი პედაგოგების დაჯილდოება;
- ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი კონცერტი;
- საერთაშორისო კონფერენციებზე, კონკურსებზე, კონგრესებზე, ოლიმპიადებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი პროფესორ – მასწავლებლების, სტუდენტთა და მოსწავლეთა დაფინანსება;
- გაუთვალისწინებელი ღონისძიებები

4. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

აღნიშნული თავი მოიცავს იმ კონკრეტული ინიციატივებსა, თუ რეკომენდაციებს რომლებიც ემყარება ფოკუს-ჯგუფებისა და ელექტრონული გამოკითვის შედეგებს და მიმართულია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილბრივი თვითმმართელობის, სასწავლო დაწესებულებების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მშობლების, პედაგოგების და ლექტორ/მასწავლებლებს მიმართ:

1. **მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის პროგრამის/სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება** - საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის N553 დადგენილებით დამტკიცდა. ის წარმოადგენს კონცეპტუალურ დოკუმენტს, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ახალგაზრდობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებს და რომელმაც უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვას. რეკომენდირებულია, რომ ქ.ქუთაისის მერიამ და საკრებულომ ადგილობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე შეიმუშაოს მუნიციპალიტეტზე მორგებული პოლიტიკის გრძელვადიანი დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა;

2. **ახალგაზრდების ჩართულობა პროგრამების შემუშავების პროცესში** - რეკომენდირებულია, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ ახალგაზრდული პროგრამების დაგეგმვის პროცესში ჩართოს უშუალოთ ახალგაზრდები, აგრეთვე ნაცვლად ერთჯერადი ღონისძიებებისა, შეიმუშაოს გრძელვადიანი, სტრატეგიული განვითარების პროგრამები;

3. **ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ადრეული ასაკიდან** - ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი ადგილობრივი რესურსები, მომსახურებები და პროგრამები ფოკუსირებული იყოს ბავშვებზე სასკოლო ასაკიდან;

4. **მრავალსექტორული თანამშრომლობა და ჩართულობა** - მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ახალგაზრდული პროგრამების შემუშავების პროცესში ჩამოყალიბდეს სექტორათაშორისი პარტნიორობა. განსაკუთრებით კი, ადგილობრივ თვითმმართველობას, სასწავლო დაწესებულებებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და კერძო ბიზნესს შორის. ქ.ქუთაისის მერიამ საზოგადოებას წარუდგინოს ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხედვა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებებისა და ინტერესების იდენტიფიცირება, ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებები და

მათი განვითარებისთვის აუცილებელი ღონისძიებები, პროგრამების შემუშავების სისტემური და პროცედურული მექანიზმები, სფეროში მომუშავე ინსტიტუტებს შორის უფლებამოსილებების გადანაწილება და მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, ახალგაზრდული მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება, სერტიფიცირება და მათი საქმიანობის ხარისხის მონიტორინგი, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა, ახალგაზრდული საქმიანობის დაფინანსება;

5. **ქ. ქუთაისში არსებული ახალგაზრდული საჭიროებების სისტემური კვლევა** - ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ატარებს ცვალებად ხასიათს. აქედან გამომდინარე საქართველოს ეროვნული და ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის ეფექტურად გასატარებლად ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა გაითვალისწინოს არსებული მდგომარეობა და საჭიროებების, ინტერესების და ტენდენციების კვლევების დახმარებით რეგულარულად შეამოწმოს ამ მდგომარეობის ცვალებადობა. რეკომენდირებულია კვლევის მეთოდოლოგია განისაზღვროს საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტების მიხედვით და მოიცავდეს როგორც რაოდენობრივ ასევე თვისებრივ მოკვლევას;

6. **ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება ადგილობრივ დონეზე** - ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებად ახალგაზრდული საქმიანობის (Youth Work) განვითარება უნდა იყოს აღიარებული. ახალგაზრდული საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობას ახალგაზრდებთან და ახალგაზრდებისთვის, რომელიც ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურებრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობასა და ინტეგრაციას. ახალგაზრდული საქმიანობა ქმნის კომფორტულ, უსაფრთხო და სასიამოვნო გარემოს, რომელშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, ისწავლონ ერთმანეთისგან და განვითარდნენ. ახალგაზრდულ საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ განათლებას;

7. **თანაბარი ხელმისაწვდომობა** - ქ.ქუთაისის მერიის მიერ ორგანიზებულ პროგრამაში მონაწილეობა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ყველა ახალგაზრდისათვის, განსაკუთრებით ისეთი ახალგაზრდებისათვის რომლებსაც აქვთ მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონი, ცხოვრობენ გეოგრაფიულად მოწყვლად ადგილზე, და/ან აქვთ შშმპ სტატუსი. განსაკუთრებით შშმ ახალგაზრდების ჩასართავად მნიშვნელოვანია ღონისძიების ჩატარების ადგილი იყოს ადაპტირებული, რადგან მათ შეძლონ ღონისძიებაში სრულფასოვანად და დამოუკიდებლად ჩართვა. ქუთაისში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაცია და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ქალაქის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს. როდესაც საუბარია შშმ პირებისათვის მაქსიმალურად ადაპტირებული გარემოს შექმნაზე, სხვა საკითხებთან ერთად დღის

წესრიგში დგება შშმ პირთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის, განათლების, ინფორმირებულობის, სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, თავისუფალი გადაადგილებისა და ორიენტაციის, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის, კულტურულ-სანახაობით ღონისძიებებში მონაწილეობისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, პირველ რიგში, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ;

8. **არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა** - რეკომენდირებულია, რომ სასწავლო დაწესებულებებმა დანერგონ სწავლების თანამედროვე მოდელები, უფრე მეტად გამახვილდეს ყურადღება პროფესიათა პრაქტიკული სწავლების გაღრმავებაზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, სტუდენტების სამუშაო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას;

9. **ახალგაზრდული კლუბების ფორმირება** - ქალაქის ტერიტორიულ ერთეულებში ჩამოყალიბდეს ახალგაზრდული კლუბები, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ სამუშაო უნარ-ჩვევების განვითარებაში, თვითრეალიზებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ჩართვას. აღნიშნულ კლუბებში ახალგაზრდებს ჩაუტარდებათ ტრენინგები სხვადასხვა თემაზე: პიროვნულ განვითარებაზე, პროფესიულ ორიენტაციაზე და ა.შ.;

10. **ადგილობრივი პროგრამების შესახებ ცნობადობის გაზრდა** - ახალგაზრდების უმრავლესობა საერთაშორისო ახალგაზრდულ პროგრამებს უკეთ იცნობს, ვიდრე ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტს და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ახალგაზრდულ პროგრამებს. შესაბამისად მიაჩნიათ, რომ სწორედ მათი არ ცოდნა შეიძლება იყოს ნაკლები ჩართულობის და პასიურობის ერთ-ერთი მიზეზი;

11. **გართობისა და დასვენების ცენტრები ახალგაზრდებისთვის,** სადაც ახალგაზრდები შეღავათიანი ფასებით ისარგებლებენ (მაგალითად სამაგიდო თამაშები; ადგილი, სადაც მოეწყობა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები);

12. **საგამოფენო სივრცეების ორგანიზება** - ქ.ქუთაისში ვიზუალურ ხელოვნებას ქმნიან ახალგაზრდები და მათ არ აქვთ ადგილი, სადაც ფართო საზოგადოებას გააცნობენ თავიანთ შემოქმედებას;